

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 240
2006 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი**

**“საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული
ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ**

“საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებმოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N 614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის “ა” და “ნ” ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანდართული ტიპური დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს :

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 363 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 364 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 365 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 366 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 367 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 368 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 369 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 370 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ი) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 371 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N 372 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

ლ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 27 აპრილის N 412 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

მ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 27 აპრილის N 415 ბრძანება “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ”.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

“საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიული ორგანოების მმართველობის სფეროს, უფლება-მოვალეობებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

2. ტერიტორიული ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფაროგლებში წარმოადგენს სამინისტროს.

მუხლი 3.

ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ეს დებულება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული საიმართლებრივი აქტები.

მუხლი 4.

ტერიტორიული ორგანოს საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საქვეყნოობის პრინციპებს.

მუხლი 5.

1. ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურა და საშტატო რაოდენობა განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხით (განრიგით).

2. ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურას და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 6.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულის გახსნის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის, წინასწარი გამოძიების მიზნით ტერიტორიული ორგანო კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

მუხლი 7.

1. ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

2. ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს სამინისტროს საბალანსო ერთეულს. ტერიტორიულ ორგანოს აქვს სახელმწიფო ხაზინის მიერ მინიჭებული სახაზინო კოდი, ბეჭედი და ბლანკი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და სახელწოდების აღნიშვნით. (26.12.2007 N1629)

თავი II. ტერიტორიული ორგანოს ამოცანები

მუხლი 8.

ტერიტორიული ორგანოს ამოცანებია კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სახელმწიფოს ინტერესების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირების უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

ბ) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა, თავიდან აცილება, აღკვეთა;

- გ) საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;
- დ) წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ე) ექვიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, დამნაშავეთა, ასევე სხვა სამართალდამრღვევთა ძებნა და დაკავება, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;
- ვ) დასახლებული პუნქტების მიხედვით დანაშაულისა და სამარალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, დამნაშავეთა და სამართალდამრღვევ პირთა შესახებ მონაცემების შეგროვება და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელებისათვის;
- ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელება.

თავი III. ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობა

მუხლი 9.

1. ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგნ საქმეთა მინისტრი.

2. ტერიტორიული ორგანოს უფროსი როგორც უშუალოდ, ისე თავის მოადგილის მეშვეობით კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს მმართველობის სფეროში შემავალ სამსახურებს დამნაშავეობასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის სფეროში.

3. უფროსი:

- ა) საერთო ხელმძღვანელობას უწევს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;
- ბ) თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოცემს ინდივიდუალურსამართლებრივ აქტებს;
- გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლებას;
- დ) განიხილავს და ამტკიცებს დაქვემდებარებული დანაყოფების სამუშაო გეგმებს;
- ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;
- ვ) დამოუკიდებლად განკარგავს მთავარი სამმართველოსათვის გამოყოფილ თანხებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

მუხლი 10.

1. ტერიტორიული ორგანოს უფროსს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები).
2. ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილე (მოადგილეები), ტერიტორიული ორგანოს უფროსის მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად, ხელმძღვანელობს საკურატორო სამსახურების საქმიანობას, ასრულებს ტერიტორიული ორგანოს უფროსის მითითებებს და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

თავი IV. ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციები

მუხლი 11.

1. საერთო კოორდინაციისა და საქმისწარმოების ორგანიზების მიზნით ტერიტორიული ორგანო კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) საქმისწარმოების (მათ შორის, საიდუმლო საქმისწარმოების) ორგანიზაციას, იმ ბეჭდებისა და შტამპების აღრიცხვას, რომლებიც გამოიყენება სამმართველოს საქმისწარმოებისათვის;

გ) კონტროლზე აყვანილი დოკუმენტების აღრიცხვას, მათი შესრულების კონტროლს (ვადების მიხედვით);

დ) კორესპოდენციის მიღება-გაგზავნის, მომზადებული დოკუმენტების რეგისტრაციასა და ადრესატამდე დაგზავნას;

ე) დადგენილი წესით მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მიღებას, აღრიცხვას, მათი ხელმძღვანელობისათვის და შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებისათვის დაგზავნას, აღნიშნული დოკუმენტების შესრულების კონტროლს (ვადების შესაბამისად);

ვ) სამინისტროს ადმინისტრაციასთან კოორდინაციით ტერიტორიული ორგანოს საპროტოკოლო მომსახურების უზრუნველყოფას;

ზ) ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში გარეშე პირთა შესვლისა და გასვლის ორგანიზებას;

თ) ტერიტორიული ორგანოს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების გამოყენებისა და შენახვის კონტროლს;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს ინტერესების დაცვას სასამართლოში, ასევე კომპეტენციის ფარგლებში ტერიტორიული ორგანოს სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებას;

კ) ტერიტორიული ორგანოს უწყვეტი სადღეღამისო საქმიანობის უზრუნველყოფას;

ლ) პოლიციის ძალებისა და საშუალებების ოპერატიული მართვის, დანაშაულის შესახებ შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირების, ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და სადღეღამისო კრებსების მომზადებას;

მ) კლიპტოგრამებისა და ტელეგრამების მიღება-გადაცემის ორგანიზებას;

ნ) საგანგებო შემთხვევათა დროს მობილიზაციის მიზნით ტერიტორიული ორგანოს დანაყოფების ინფორმირებას, დანაყოფებში სამოქმედო ოპერატიულ გეგმებთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების სწორი წარმართვის კონტროლს;

ო) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელებას.

2. დანაშაულის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ტერიტორიული ორგანო კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ მიზნით სისხლისსამართლებრივი

დევნისა და წინასწარი გამოძიების განხორციელებას იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც არ განეკუთვნება წინასწარი გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოთა კომპეტენციას;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებას;

გ) ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, დამნაშავეთა, ასევე სხვა სამართალდამრღვევთა ძებნა და დაკავება, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოსაძებნად;

დ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობას;

დ¹) პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთას, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. (26.01.2007 N110)

ე) ბავშვთა მაწანწალობის, უმეტესაღმწიფრობის თავიდან აცილებასა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკაში მონაწილეობას;

ე¹) შემთხვევის ადგილზე არსებული სუნით, ოდოროლოგიური კვალის მიხედვით (პიროვნების, ასევე ნარკოტიკულ ნივთიერებათა, ფეთქებად და სხვა საგანთა აღმოსაჩენად) შესაბამის კინოლოგიურ მომსახურებას; (6.07.2006 N849)

ვ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებას;

ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელებას.

3. ერთიანი საკადრო პოლიტიკის განხორციელების მიზნით ტერიტორიული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტერიტორიული ორგანოს დანაყოფებისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევას, სამსახურში მისაღებ კანდიდატთა შესწავლისა და სპეციალური შემოწმების განხორციელებას;

ბ) პირად შემადგენლობასთან მუშაობის და სამსახურის გავლასთან დაკავშირებული სამინისტროს შიდანორმატიული აქტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას;

გ) ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე კონტროლის განხორციელებასა და ამ მიზნით სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას;

დ) ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა ატესტაციის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღებას;

ე) ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილებების, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭების, წახალისების, აგრეთვე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მასალების მომზადებას;

ვ) ტერიტორიულ ორგანოში შემავალი დანაყოფების სტრუქტურული სრულყოფისა და რეორგანიზაციის, სამტატო ერთეულების რაოდენობის ოპტიმიზაციისა და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ წინადადებების მომზადებას;

ზ) ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა წელთა ნამსახურობისა და შრომის სტაჟის გამოთვლას, პირადი საქმეების აღრიცხვისა და დამუშავების წარმოებას;

თ) დოკუმენტაციის მომზადებას ტერიტორიული ორგანოდან დათხოვნილ მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით.

ი) ყოფილი მოსამსახურეების ხელახალ მიღებაზე შემოსული განცხადებებისა და მასალების განხილვას;

კ) საკადრო საკითხებთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელებას.

4. ტერიტორიული ორგანო საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში: (26.12.2007 N1629)

ა) სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი სახსრების მართვასა და მიზნობრივ გამოყენებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს ყოველი მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის (ბიუჯეტის) პროექტის მომზადებასა და სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოში წარდგენას;

გ) გამოყოფილი სახსრების ფარგლებში შეიმუშავებს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის (ასევე გეგმის კორექტირების) პროექტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს ტერიტორიული ორგანოს უფროსს (პროექტს დამტკიცებამდე შესათანხმებლად წარუდგენს სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს); დამტკიცებულ გეგმას წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირს _ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

დ) ამზადებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარადგენს ოპერატიულ, სტატისტიკურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;

ე) დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურათა დაცვით ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვებს;

ვ) ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მონიტორინგს, შესყიდული საქონლის, მომსახურებისა და შესრულებულ სამუშაოთა მიღებას;

ზ) კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოფს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებას და ანგარიშგებას;

თ) ადგენს ბალანსს და დადგენილ ვადებში წარადგენს სამინისტროს

ცენტრალურ ბუღალტერიაში (პასუხისმგებელია წარდგენილი ბალანსის სისრულეზე, სისწორესა და რეალობაზე);

ი) ახორციელებს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების დარიცხვასა და დროულ გაცემას;

კ) დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოებს სალაროს ოპერაციებს, ახორციელებს პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას;

ლ) უზრუნველყოფს ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების (მათ შორის, საწვავის, მობილური სატელეფონო ბარათების, მცირეფასიანი აქტივების, სახარჯი მასალებისა და სხვა) საბუღალტრო აღრიცხვასა და დამუშავებას;

მ) ახორციელებს ძირითადი აქტივებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებების (დებიტორ-კრედიტორების) ინვენტარიზაციას;

ნ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებსა და შესაბამის დოკუმენტაციას ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერისათვის;

ო) აღრიცხავს, დადგენილი წესით და ვადებში ინახავს და არქივში აბარებს საფინანსო-სამეურნეო საქმისწარმოების (მათ შორის, საბუღალტრო) დოკუმენტებს;

პ) შეისწავლის და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის, ზრუნავს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე;

ჟ) აღრიცხავს სარგებლობაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას, აკონტროლებს მის ექსპლუატაციასა და დაცვას;

რ) ორგანიზებას უწევს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (განთავსების ადგილების_გამოყოფილი ფართობების), სხვადასხვა საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების ტექნიკურ მომსახურებას, მათ ექსპლუატაციას, კომუნალურ მომსახურებას, სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვას;

ს) ორგანიზებას უწევს დაპროექტების, მშენებლობის, მიმდინარე ანდა კაპიტალური შეკეთებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და მათ ტექნიკურ ზედამხედველობას;

ტ) დადგენილი წესით წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას კომუნალური და სხვა გადასახადების გადასახდელად;

უ) ორგანიზებას უწევს შესყიდული (გადაცემული) მატერიალური ფასეულობების მიღებას, აღრიცხვასა და დასაწყობებას, თანამშრომელთა მოთხოვნით მატერიალურ ფასეულობათა მიწოდებას, შესაბამისი მოთხოვნა-მიწოდების დოკუმენტაციის წარმოებას;

ფ) უზრუნველყოფს სარგებლობაში არსებული კომპიუტერული და ორგტექნიკის, კავშირგაბმულობის საშუალებების, მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, მათ გამართულ მუშაობას;

ქ) უზრუნველყოფს სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობას;

ღ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა

უფლებამოსილებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის.

5. დასახლებულ პუნქტებში ტერიტორიული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) ტერიტორიული ორგანოს დასახლებული პუნქტების მიხედვით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, დამნაშავეთა და სასამართალდამრღვევ პირთა შესახებშესახებ მონაცემების შეგროვებას და ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელებისათვის;

ბ) საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების აღკვეთას, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას;

გ) უკანონო გარე ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების განხორციელებას.

მუხლი 12.

წინამდებარე დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.